

ტესტის სახელწოდება ღვიძლის ფუნქცია

ტესტის ალტერნატიული დასახელება ღვიძლის ფუნქციური სინჯები

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ღვიძლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა. იგი ადამიანის ორგანიზმში ბევრ ფუნქციას ასრულებს – ღვიძლში ხდება სხვადასხვა ნივთიერების მეტაბოლიზმი და დეტოქსიკაცია, ცილებისა და ენზიმების სინთეზი, ნაღვლის წარმოქმნა, ვიტამინების მარაგის შენახვა და სხვ.

ღვიძლის ფუნქციური სინჯები ანალიზების ჯგუფია, რომლებიც ერთად სრულდება და რომელთა დახმარებითაც, ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის შეფასება ხდება. ღვიძლის ფუნქციური სინჯები სხვადასხვა კლინიკური ლაბორატორიისთვის განსხვავებულ ტესტებს შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ, ძირითადად, მასში შემდეგი ანალიზები შედის: ALT (ალანინამინოტრანსფერაზა), AST (ასპარტატამინოტრანსფერაზა), ALP (ტუტე ფოსფატაზა), GGT (გამა-გლუტამილ ტრანსფერაზა), საერთო ცილა, ალბუმინი, საერთო ბილირუბინი და პირდაპირი ბილირუბინი.

ამ ანალიზებით ხდება ღვიძლის ჯანმრთელობის შეფასება, მისი დაზიანების გამოვლენა და ასევე, იმ პაციენტების მდგომარეობის მონიტორინგი, რომელთაც უკვე დადგენილი აქვთ ღვიძლის რომელიმე დაავადების არსებობა.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ღვიძლის ფუნქციური სინჯები ინიშნება:

- ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის შესაფასებლად
- ღვიძლის დაზიანების გამოსავლენად. ღვიძლის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მედიკამენტმა, ალკოჰოლმა და ღვიძლის დაავადებებმა.
- როდესაც ადამიანს ღვიძლის დაავადების ნიშნები აქვს, მაგ. სიყვითლე, მუქი შარდი, ღია ფერის განავალი, გულისრევა და ღებინება, ქავილი. აღსანიშნავია, რომ დაავადების ადრეულ ეტაპზე ეს სიმპტომები ყოველთვის არ იჩენს თავს.
- როდესაც ადამიანს უკვე დადგენილი აქვს ღვიძლის დაავადება, ღვიძლის ფუნქციური სინჯები პერიოდულად ინიშნება, რათა ღვიძლის მდგომარეობა და მკურნალობის ეფექტურობა შეფასდეს.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ანალიზისთვის სისხლის აღება უზომოდ უნდა მოხდეს. გარდა ამისა, ზოგიერთმა მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ ანალიზისთვის მოსამზადებლად აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და მისგან დეტალური მითითებების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

ღვიძლის ფუნქციური სინჯების შედეგებში დაფიქსირებული გადახრა ღვიძლის დაზიანებით შეიძლება იყოს გამოწვეული. თავის მხრივ, ღვიძლის დაზიანება სხვადასხვა დაავადების (მაგ. მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტი, ციროზი, ღვიძლის სიმსივნეები და სხვ.) და ნივთიერების ზემოქმედების (მათ შორის, მედიკამენტებისა და ალკოჰოლის) შედეგი შეიძლება იყოს.

როდესაც ადამიანს ღვიძლის რომელიმე დაავადება აქვს, ღვიძლის ფუნქციური სინჯები პერიოდულად ინიშნება მონიტორინგის მიზნით. მიღებულ შედეგებსა და დინამიკაზე დაკვირვებით ადგენენ, დროთა განმავლობაში, პაციენტის ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობა უარესდება თუ უმჯობესდება.

აღსანიშნავია, რომ ღვიძლის ფუნქციური სინჯები რომელიმე ცალკეული დაავადების დიაგნოსტიკისთვის არ გამოიყენება. ეს ტესტები ექიმს პაციენტის ღვიძლის ფუნქციური მდგომარეობის შესახებ აძლევს ინფორმაციას. დიაგნოზის დასაზუსტებლად, ჩვეულებრივ, დამატებითი კვლევებია საჭირო.

ღვიძლის ფუნქციურ სინჯებში შემავალი თითოეული ანალიზის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ “ვისტამედის” ვებ-საიტის (vistamedi.ge) “ანალიზების” განყოფილებას ეწვიოთ.